

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის**

**და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №12**

**15 სექტემბერი 2012 წელი**

**ქ. ბათუმი**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო  
კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში  
ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 22 აგვისტოს №11 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, 23/08/2012. 010220020.34.059.016012) შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი შემდეგი ოდენობით:

| №          | ოლქის | ოლქის დასახელება | ო ლ ქ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი |                                     |                  |              | სულ ჯამი     |
|------------|-------|------------------|-------------------------|-------------------------------------|------------------|--------------|--------------|
|            |       |                  | (გადაზიდვის ხარჯები)    | ოლქში დამხმარე პერსონალის ხელფასები |                  |              |              |
|            |       |                  |                         | პერსონალის რაოდენობა                | ხელფასის ოდენობა | სულ          |              |
| 1          | 79    | ბათუმი           | 1500                    | 27                                  | 200              | 5400         | 6900         |
| 2          | 80    | ქედა             | 1750                    | 6                                   | 200              | 1200         | 2950         |
| 3          | 81    | ქობულეთი         | 1500                    | 13                                  | 200              | 2600         | 4100         |
| 4          | 82    | შუახევი          | 1750                    | 8                                   | 200              | 1600         | 3350         |
| 5          | 83    | ხელვაჩაური       | 1500                    | 8                                   | 200              | 1600         | 3100         |
| 6          | 84    | ხულო             | 1750                    | 12                                  | 200              | 2400         | 4150         |
| <b>სულ</b> |       |                  | <b>9750</b>             | <b>74</b>                           |                  | <b>14800</b> | <b>24550</b> |

2. დადგენილების მეორე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 2<sup>1</sup>:

„მუხლი 2<sup>1</sup>. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო ოლქების დამხმარე პერსონალისათვის გამოყოფილი თანხების საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემა უზრუნველყოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის შესაბამისმა სამსახურმა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ დამხმარე პერსონალისათვის გამოყოფილი თანხების გამოყენება დანიშნულებისამებრ და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

არჩილ მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქეთევან ჯიქია